

შპს „ავიატორი +“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

შინაარსი

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	7
3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასებისთვის საკითხები	14
4. შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან.....	14
5. საქონლის თვითღირებულება	14
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	14
7. ფული და ფულის ექვივალენტები.....	15
8. ძირითადი საშუალებები.....	15
9. არამატერიალური აქტივი.....	16
10. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	16
11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	16

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2018
შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4	100,261
გაწეული მიწოდებული საქონლის	5	(15,566)
საერთო მოგება		84,695
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	6	(1,445,798)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		62,608
საოპერაციო მოგება		(1,298,495)
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ზარალი		(132,674)
მოგება დაბეგვრამდე		(1,431,169)
მოგების გადასახადის ხარჯი		-
წლის მოგება/ზარალი		(1,431,169)
სხვა სრული შემოსავალი		-
სულ სხვა სრული შემოსავალი		(1,431,169)

	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	7	2,233	3,305,324
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		0	424,000
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		16,140	16,828
სხვა მიმდინარე აქტივები		52,035	61,694
სულ მოკლევადიანი აქტივები		70,408	3,807,846
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	3,715,332	25,119
არამატერიალური აქტივი	9	5,422	3,068
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,720,754	28,187
სულ აქტივები		3,791,162	3,836,033
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		197,515	232,208
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოსთან		0	2,469,036
სულ ვალდებულებები		1,970,285	1,266,653
კაპიტალი			
კაპიტალი		7,483,373	3,593,346
დაგროვილი მოგება/(ზარალი)		-3,889,726	-2,458,557
სულ კაპიტალი		3,593,647	1,134,789
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,791,162	3,836,033

შპს „ავიატორი +“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით		3,593,346	(2,458,557)	1,134,789
წმინდა მოგება / (ზარალი)		-	(1,431,169)	(1,431,169)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
წლის სრული შემოსავალი /(ზარალი)		-	(1,431,169)	(1,431,169)
საწესდებო კაპიტალის ზრდა		(339,453)	-	(339,453)
საწესდებო კაპიტალის შემცირება		4,229,480	-	4,229,480
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		7,483,373	(3,889,726)	3,593,647

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება დაბეგვრამდე:		(1,431,169)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	8,9	97,589
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)		133,491
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და		
სავაჭრო მოთხოვნების შემცირება (ზრდა)		424,000
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება		688
სხვა დანახარჯები		325
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		(2,503,729)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(3,278,805)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შესყიდვა		(3,786,624)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(3,531)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(3,790,155)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის ზრდა		4,229,480
კაპიტალის შემცირება		(339,453)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		3,890,027
ფული და ფულის ექვივალენტები		
1 იანვრის მდგომარეობით		3,305,324
წმინდა ზრდა/შემცირება წლის განმავლობაში		(3,178,933)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულზე და ფულის		(124,158)
31 დეკემბრის მდგომარეობით		2,233

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ავიატორი +“ (შემდგომში კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით 404511621, დაფუძნდა 2016 წლის 6 აპრილს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია, საქართველო ქ. თბილისი, კოსტავას ქ.#14.

კომპანიის 100 %-იანი წილის მფლობელია შპს „სითი ლოფტი“ (ს/კ 404909934).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საავიაციო სატრანსპორტო მოსახურება.

კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის და 01 იანვრის მდგომარეობით, საშუალოდ ჰყავდა დასაქმებული 11 და 18 თანამშრომელი შესაბამისად.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად (გადახედილი 2015 წელს), რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული ანგარიშგება ამ თარიღის მდგომარეობით 2018 წელი 31 დეკემბერი, პირველად მომზადდა „მსს ფასს“ სტანდარტების შესაბამისად.

მსს ფასს- ის პირველადი გამოყენება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ორგანიზაციამ პირველად მოახდინა მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება. შესაბამისად, ორგანიზაციამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება (მსს ფასს)-ის საფუძველზე, რომელიც მოქმედებს პერიოდებზე დაწყებული 2018 წლის 1 იანვრიდან და შემდგომ პერიოდში. ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს, კომპანიამ საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოამზადა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღი.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგან იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტა – ქართული ლარი.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები)

ახალი სტანდარტები რომლებიც არ შესულა ძალაში

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. კომპანიამ შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნალკები და დაბალ-ღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. დირექტორების აზრით ამ თარიღისთვის არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

სააღრიცხო პოლიტიკა

შემოსავლების და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ლარში აქტიური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახურლი შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2018 წლის 1 იანვარს	2.5922	3.1044
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.6766	3.0701
გაცვლითი საშუალო კურსი 2018 წლის	2.5355	2.9913

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

ვერტმფრენი	20 წელი;
დამხმარე ნაწილები	20 წელი;
ავიჯი და სხვა ნაწილები	5 წელი;

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

არამატერიალურ აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის გამოთვლა ხორციელდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

პროგრამული უზრუნველყოფა 1-5 წელი;

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან გაუფასურებისთვის შემოწმებას, როგორც ეს დადგენილია ქვემოთ.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შემენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღ- იარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონ- ლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო- მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თა- ნხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) გაცემული სესხები

გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს არის თუ არა ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით გაზომილი ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური სამხილი. იმ შემთხვევაში თუ არსებობს ამგვარი სამხილი, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. ეს უკანასკნელი განისაზღვრება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით.

გაუფასურების გაანგარიშების მიდგომის ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360
დარეზერვების პროცენტულობა	0%	2%	5%	25%	50%	100%

(ბ) მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს არის თუ არა ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით გაზომილი ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური სამხილი. იმ შემთხვევაში თუ არსებობს ამგვარი სამხილი, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. ეს უკანასკელი განისაზღვრება აქტივის თავდაპირველი ეფექტური განაკვეთით დისკონტირებით.

(გ) სესხის ხარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ დანახარჯებში, როდესაც გაწეული იქნა.

მოგების

გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

კაპიტალი

კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, რომელიც აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეტანის მომენტისთვის.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც დამტკიცდება მათი განაწილება. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასებისთვის საკითხები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა და შემთხვევისა რომელსაც ადგილი ქონდა 2019 წელს და აღწერილია განმარტებით შენიშვნა 10 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები.

4. შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

კომპანიის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს ავიასატრანსპორტო საშუალების გაქირვებით მიღებული შემოსავალი.

5. საქონლის თვითღირებულება

საქონლის თვითღირებულებაში შეყვანილია მხოლოდ საწვავის ღირებულება.

თვითღირებულება	2018 წელი ლარი
საწყისი მარაგები 01.01.2018	16,828
მარაგების შესყიდვა	14,878
საბოლოო მარაგები 31.12.2018	(16,140)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15,566

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

ხარჯის დასახელება	2018 წელი ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	456,167
სხვა საერთო ხარჯი	378,249
ტექნიკური და საგარანტიო მომსახურება	142,248
საგადასახადო ხარჯი	122,496
ცვეთა და ამორტიზაცია	97,589
დაზღვევის ხარჯი	76,780
საკონსულტაციო	65,899
მივლინების ხარჯი	38,744
საიჯარო ქირა	34,048
კომუნიკაციის ხარჯი	1,816
ტრანსპორტირების ხარჯი	1,323
ბანკის საკომისიო	1,241
სხვაობა დილინგიდან	29,198
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1,445,798

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

7. ფული და ფულის ექვივალენტები

	ლარი	ლარი
დასახელება	31.12.2018	01.01.2018
ნაღდი ფული საღაროში	1,649	1,645
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	583	1,372
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	0	3,302,307
სულ	2,233	3,305,324

8. ძირითადი საშუალებებიძირითადი საშუალება

ღირებულება	ვერტმფრენი	დამხმარე ნაწილები	ავეჯისა და სხვა ინვენტარი	სულ:
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობა	0	26,223	1,391	27,614
შეძენა	3,783,903	0	2,721	3,786,624
ჩამოწერა	0	0	0	0
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,783,903	26,223	4,112	3,814,238

ცვეთა და გაუფასურება

ღირებულება	საოფისე აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯისა და სხვა ინვენტარი	სულ:
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობა	0	1,857	637	2,494
ჩამოწერა	0	0	0	0
ცვეთა წლის მანძილზე	94,598	1,311	503	96,412
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	94,598	3,168	1,140	98,906

წმინდა საბალანსო ღირებულება	საოფისე აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯისა და სხვა ინვენტარი	სულ:
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობა	0	24,366	754	25,120
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,689,305	23,055	2,972	3,715,332

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. არამატერიალური აქტივი

ღირებულება	პროგრამა	სულ:
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობა	3,068	3,068
შეძენა	3,531	3,531
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,599	6,599

ამორტიზაცია

ღირებულება	პროგრამა	სულ:
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობა	0	0
ამორტიზაცია	1,177	1,177
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,177	1,177

წმინდა საბალანსო ღირებულება	პროგრამა	სულ:
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობა	3,068	3,068
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,422	5,422

10. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის 6 ივნისს, კომპანიის კუთვნილმა ვერტმფრენმა განიცადა კატასტროფა ყაზბეგის რაიონში და სრულიად დაზიანდა. ვერტმფრენი დაზღვეულია სს ალდაგში და თანხის ასანაზღაურებლად ელოდება სამხარაულოს ექსპერტიზის დასკვნას.

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 27 სექტემბერს.